## პრიორიტეტების ფინანსური ანგარიშგების ფორმა

(ლარებში)

| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა | პროგრამის კლასიფიკაციის კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | მ.შ. საბიუჯეტო ასიგნება | 2023 წლის საკასო შესრულება | მ.შ. საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო შესრულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 01 08 | მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება | 77,000 | 77,000 | 63,891 | 63,891 |
| **სულ პრიორიტეტზე მიმართული და გაწეული ფულადი სახსრები** | | | **77,000** | **77,000** | **63,891** | **63,891** |

**პროგრამის შედეგების შეფასების ფორმა**

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება** | **მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება** |
| **პროგრამის კლასიფიკაციის კოდი** | **01 08** |
| **პროგრამის განმახორციელებელი** | **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ადმინისტრაცია** |
| **პროგრამის აღწერა და მიზანი (მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები)** | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2023 წლის გეგმის შესაბამისად, მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგ-საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, განხორციელდა როგორც საბაზისო ასევე დამატებითი სასწავლო მოდულების შესყიდვა (სულ 11 მოდული). სულ გადამზადდა 156 საჯარო მოხელე (114 ქალი და 42 კაცი). ტრენინგზე დასწავლილი უნარების ტრანსფერის უზრუნველყოფის მიზნით, ტრენინგ-კურსის თითოეული მოდული შეთანხმდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან, აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდა ტრენინგის შინაარსის მონაწილეთა რეალურ სამუშაო შინაარსთან კავშირი, რამაც ხელი შეუწყო მონაწილეების მიერ რეალური სიტუაციის გამკლავებისთვის აუცილებელი გამოცდილების შეძენას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **დაგეგმილი საბოლოო შედეგი** | მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება-გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით. | **მიღწეული შედეგი** | ამაღლებულია მოხელეთა კვალიფიკაცია, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება-გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით. |

| № | **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **განმარტება** |
|---|---|---|---|---|---|
| | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| პროგრამაში ჩართული საჯარო მოხელეების რაოდენობა | 150 | 150 | 156 | - | |